ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 20---

27 იანვარი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში საცხოვრებელი კომპლექსის (ვილები და მრავალფუნქციური შენობები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2014 წლის 18 დეკემბრის №47 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 14 იანვრის №04/475 წერილის (AR1268785) თანახმად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში საცხოვრებელი კომპლექსის (ვილები და მრავალფუნქციური შენობები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1268785 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დასაპროექტებელი ობიექტი: – საცხოვრებელი კომპლექსი (ვილები და მრავალფუნქციური შენობები);

განმცხადებელი: - კახაბერ დეკანოიძე

ობიექტის მისამართი/ადგილმდებარეობა: – ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისი;

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: – #81.02.20.253, #81.02.20.236, #81.02.20.005;

საპროექტო ტერიტორიის ფართობი: – 44656 კვ.მ. 13099 კვ.მ. 10162 კვ.მ.

საპროექტო არეალი: - 67917 კვ.მ.

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:

ტრიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები მდგომარეობს შემდგომში:

- ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით, დამტკიცებული ,,დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“-ის მიხედვით – ქ. თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებული ტერიტორია მდებარეობს სასოფლო–სამეურნეო ზონა (სოფზ)-ში;

საპროექტო განაშენიანების ფუნქციური ზონები და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

- განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დამუშავდეს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის (#47 18.12.14.) რეკომენდაციით;

- საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” შესაბამისად.

გრგ დავალების გაცემის საფუძველია:

- განცხადება AR1268785 (14.12.2014)

- ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #47 (18.12.14.). (იხ.დანართი);

<u>შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან განხორციელდეს</u>:

- საპროექტო ობიექტები დაპროექტდეს საკადასტრო რუკებით დადგენილ საზღვრებში;

- წარმოდგენილ იქნეს, გამიჯვნის სქემები, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები, საფუძველი იქნება ობიექტების შემდგომი ინდივიდუალური მშენებლობისთვის.

- ცალკეული შენობა-ნაგებობებისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას გათვალისწინებულ იქნეს, თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით.

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლად სატრანსპორტო სქემა;

<u>მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) განისაზღვროს</u>:

<u>- მიწის ნაკვეთების განახლებული საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც ნაკვეთების ფუნქციად დაფიქსირებული უნდა იქნეს არასასოფლო–სამეურნეო (მრავალფუნქციური შენობების განთავსებისთვის);</u>

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.

- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისას, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო ტერიტორიების შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა.

- გათვალისწინებული იქნეს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისთვის და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო სარეკრეაციო სივრცეები (სკვერი, სათამაშო მოედანი, სპორტული მოედანი და სხვა);

- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ტერიტორია შემოისაზღვროს ღობით და მოეწყოს დაცვისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა;

-გრგ-ს პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

- განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისთვის მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;

<u>ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები განისაზღვროს შემდეგ ნაირად:</u>

- მაქსიმალურად დაცული და შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის და დენდროლოგიის სქემა.

- გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად;

- მოეწყოს პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად.

<u>ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა განისაზღვროს:</u>

- ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

- განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით.

- კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;

- ავტოსადგომები განთავსდეს საკადასტრო რუკით განსაზღვრულ საზღვრებში; მათი რაოდენობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

- საჭიროების შემთხვევაში გამოიყოს ტერიტორია საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომის მოსაწყობად.

- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

<u>ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;</u>

<u>საპროექტო არეალი:</u> - 67917 კვ.მ.

<u>ტერიტორიის არსებული ზონის სახეობა:</u>-სასოფლო–სამეურნეო ზონა (სოფზ);

<u>განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი სახეობა</u> - საცხოვრებელი, საზოგადოებრივი;

ა)განაშენიანების რეგულირების ხაზები, (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით,;

ბ)განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

- განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით.

<u>განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. ტერიტორიის გრგ-ს გეგმარებითი დავალება ან რეკვიზიტი;
2. საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმები;
3. ზოგადი გეოლოგია;
4. ტოპო-გეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით მ. 1:500;
5. სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან მ 1:1000;
6. გრგ-ს ტექსტური ნაწილი: გრგ-ს აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
7. ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ. 1:500;
8. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში);
9. განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან მ 1:1000;
10. ფუნქციური ზონირების რუკა;
11. მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა);
12. ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა მ 1:500 ან მ 1:1000;
13. ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება, მ 1:000, მ 1:200 ან მ 1:500;
14. მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩასატარებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი და გეგმა მ 1:1000 ან მ 1:500 (საჭიროების შემთხვევაში);
15. გრგ-ს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების 3D ელექტრონულ-ციფრული მაკეტირება;
16. საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ1:500 ან მ1:1000 (საჭიროების შემთხვევაში);
17. ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული კვლევა (საჭიროების შემთხვევაში);
18. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში);

<u>შენიშვნები:</u>

1. <u>განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში 5 და 15 პუნქტებში მითითებული მასალები AutoCAD ან ArchiCAD ფორმატში იქნეს ატვირთული tas.ge გრგ–ს შეთანხმების ველში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.</u>
2. <u>გრგ-ს წარმოსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას, მისი განხილვის მიზნით, აუცილებელია ახლდეს დოკუმენტაციის შინაარსის ამსახველი ელექტრონული ვერსია Power Point-ის ფორმატში.</u>
3. <u>გრგ-ით მოცული ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:</u>
    - საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
    - მიწის ნაკვეთის საზღვრები;
    - განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები);

- შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები _ H;
- მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)
- განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
- გამწვანების კოეფიციენტი კ3;
- ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანო გზები და ავტოსადგომები;
- მითითებული იქნეს გაბარიტული ზომები;

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი №47

ქ. თბილისი 18 დეკემბერი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ ნემსაძე

კომისიის წევრები: გურანდა რომანაძე, თეიმურაზ ჯაფარიძე, მერაბ გაგნიძე, ნინო ხატისკაცი, გოჩა ბაბუნაშვილი, მალხაზ მჭედლიშვილი, დიმიტრი მოსულიშვილი, ზაქარია ქურდიანი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია, მაკა შავიშვილი, ნინო ღოღობერიძე, ირაკლი მასხარაშვილი, ნუგზარ მალაღურაძე, ნინო გვენცაძე.

მოწვეულები: კახაბერ დეკანოიძე, გიორგი მჭედლიშვილი, გიორგი გუგუნავა, მერაბ გუგუნავა, დათო ასლანიშვილი, დავით იავრიანი, დემურ ბოჭორიშვილი, ენრიკო ბერიძე, გუჯა პატაშური, ნატა ზაალიშვილი, ზაზა მესხი, ლევან კალმახელიძე, ლევან ფხაკაძე, თენგიზ კვანტალიანი, პაპუნა სახანბერიძე, მალხაზ ჯეირანაშვილი, ზურაბ ჯეირანაშვილი, მერაბ ბოლქვაძე, თამაზ მურვანიძე, ალექსანდრე თაბუკაშვილი, ევგენი ქორქია, დიმიტრი ბოჭორიძე, არჩილი ხვედელიანი, ირინე ბალავაძე, გია აბულაძე, ნიკოლოზ აბუთიძე, ავთო ხადული, ჯენერი მესხია, ნათია ზოფერია, აჩიკო ბირკაძე, ლიანა ქრისტესიაშვილი, ლამარა სომხიშვილი, ლაშა ბუტიაშვილი, ნინო ფარცხალაძე, თამარ მაჭავარიანი, ნინო ფარცხალაძე, რევაზ ტყემალაძე, გოჩა გეთიაშვილი, რობიზონ გეთიაშვილი, ალი გაჯიევი, ზურა გიგაური, ამბროს

სამხარაძე, ლაშა ალავიძე, თინათინ ბიწაძე, კახა არაბიძე, ჯაბა სუტური, ლევანი ოქროპირიძე, ზვიად დიაკვნიშვილი, შალვა ხაჭაპურიძე, ნუგზარ დვალიშვილი, ზურა მურადაშვილი, ზურაბ იაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, გიორგი ჭუმბურიძე, ბესიკ გაბათაშვილი, ილია ჯავახიშვილი, დარეჯან შათაშვილი, ნათელა ნიგურიანი, ნიკოლოზ ელიავა, ლიბარიგ ბეგლარაშვილი, ნინო მამულაშვილი, ვასილი ძებისაშვილი, ალექსანდრე ტაბიძე, რუსუდან გაბუნია, ციცინო დვალი, ზურაბ გოგრიჭიანი, მიხეილ ჩომხიძე, მერაბ სიჭინავა, გიზო ხელაია, ირაკლი ჯიშკარიანი, ჯაბა ბოლაშვილი, გიორგი ჩხეიძე, ფრიდონ მჭედლიძე, კახა არაბიძე, ბეჟან გვალია, არჩილ გიგაშვილი, ალექსი უთრუგაშვილი, მარიამ დავრაშელიძე, ნანი ბერიძე, თემურ იჩიკავა, ალეკო ხუჯაძე, ზურა ხუჯაძე, ალექსანდრე ჯობავა, ზვიად წიკლაური, როლანდ ნაჭყებია, ისკო დასენი, ირაკლი ხაჭაპურიძე, ლია ხუციშვილი, ლაშა კაპანაძე, ალეკო ქამუშაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.02.20.253, 81.02.20.236, 81.02.20.005), საცხოვრებელი ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – კახაბერ დეკანოიძე).

2. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. წერეთლის №39, ა. წერეთლის გამზირის №№39–41–35–37, ვ. ბაგრატიონის ქ. №№52-54-56, სოხუმის ქ. №6, სოხუმის ქ. №№4-6ა, ევდოშვილის ქ. №25, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.06.015.004; 01.13.06.015.011; 01.13.06.015.003; 01.13.06.015.009; 01.13.06.015.008; 01.13.06.015.001; 01.13.06.015.010; 01.13.06.015.012, 01.13.06.015.002, 01.13.06.015.005), მრავალფუნქციური - საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეულები – გიორგი მჭედლიშვილი, გიორგი გუგუნავა, მერაბ გუგუნავა).

3. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.237), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

62. მოსარჩელეების შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“, ს.ს. „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას“ სარჩელთან დაკავშირებით(საქმე №3/3780–14), ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის უფლებამოსილების ქ.თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების სათანადო თანამშრომელთათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (**AR 179601**).

63. მოსარჩელე ააიპ „უსაფრთხო სივრცის“ სარჩელთან დაკავშირებით (საქმე №3/5017–14), ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის უფლებამოსიელბის ქ.თბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების სათანადო თანამშრომელთათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (**AR 1161043**).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1. კახაბერ დეკანოიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.02.20.253, 81.02.20.236, 81.02.20.005), საცხოვრებელი ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – კახაბერ დეკანოიძე. **AR1268785**.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია. უნდა მოხდეს საზოგადოებრივი სივრცეების გაფართოვება, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების დაგეგმარება. შემცირდეს ინდივიდუალური განაშენიანება! დასაზუსტებელია მისასვლელი გზა, დასაზუსტებელია კომუნიკაციების არსებობა.
- მისაღებია. სარეკრეაციო სივრცე გაიზარდოს.

- მისაღებია. გრგ-ს დავალებაში ჩაიწეროს საკვლევი სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს ნაკვეთების ისტორიას (წინა პერიოდი) უფრო დიდ არეალზე, ასევე განხილული იქნას საერთო გზების სისტემა.
- მისაღებია. გაიცეს გეგმარებითი დავალება, გათვალისწინებული უნდა იყოს ინფრასტრუქტურის და საინჟინრო კომუნიკაციების შესაძლებლობა.
- მისაღებია. საპროექტო განაცხადის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შიდა კომუნიკაციის სივრცეების საკითხები.
- მისაღებია.
- მისაღებია. სასურველია გაიზარდოს სარეკრეაციო სივრცე, საზოგადოებრივი პარკინგი და გათვალისწინებული იყოს საერთო სივრცეებისთვის საზოგადოებრივი შენობები. წარმოდგენილი იყოს და გათვალისწინებული კომუნიკაციის გადაწყვეტის საკითხი და მისასვლელი გზის საკითხი.
- მისაღებია. გათვალისწინებული იქნეს საინჟინრო კომუნიკაციები, დაქსელვა, გამწმენდი ნაგებობა და ა. შ. ასევე, მისასვლელი გზის სიგანეები და გამტარუნარიანობა და საზოგადოებრივი სივრცის ადეკვატურობა ნაკვეთების-სახლების სამომავლო მოსახლეობის რაოდენობასთან.
- მისაღებია. გათვალისწინებული იქნას საინჟინრო კომუნიკაციების საკითხი. ტერიტორიის განაშენიანებისას მეტად იქნეს გათვალისწინებული გამწვანება.
- მისაღებია. პროეტის სტადიაზე გათვალისწინებული იქნეს საინჟინრო კომუნიკაციები.
- მისაღებია. გრგ-ს პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს: წყალმომარაგეობის, კანალიზაციის, ელექტრომომარაგების და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში გამწმენდი ნაგებობის დისლოკაცია. დასაზუსტებელია მისასვლელი გზების საკითხი და რესურსი. მიზანშეწონილია რეკრეაციის მოცულობის გაზრდა და ადგილები ნაგვის ყუთებისათვის.
- მისაღებია. პროექტირების დროს გათვალისწინებული იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელის მოწყობაც. ასევე, სასურველია სარეკრეაციო ზონის გაზრდა.
- მისაღებია. გრგ-ში გათვალისწინებული უნდა იყოს საინჟინრო ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები, გამწვანებული ზოლი მეტად უნდა განვითარდეს და არ არსებობს საფეხმავლო მისასვლელები, აგრეთვე მიწის ნაკვეთი განვითარდეს და მიჯნები ძალიან მჭიდრო. ტერიტორიას სჭირდება მეტი საზოგადოებრივი სივრცე.
- არ არის მისაღები. გეგმარებითი დავალება უნდა მომზადდეს ინფრასტრუქტურის (საინჟინრო) გათვალისწინებით.
- მისაღებია ტექნიკური პირობების, კანალიზაცია, წყალი, ელ. ენერგიის წინასწარი კვლევის შემდეგ. გეგმარებითი დავალება გაიცეს ზემოთ

ჩამოთვლილი პირობების დათქმით. P.S. გარე მისასვლელი გზების დაკონკრეტება. გაიზარდოს მწვანე საფარის მოცულობა.

- მისაღებია. გაიცეს დავალება, გათალისწინებული იქნეს საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყვეტა, მისასვლელი სამანქანო გზა. შესაძლებელია სავრცითი წყობის უფრო საინტერესო გადაწყვეტა სარეკრეაციო სივრცის გაზრდით.
- მისაღებია. ტერირტორიას ნაკლებად გააჩნია სარეკრეაციო ტერიტორიები, ის ადგილები რომლებზეც მოხდება განაშენიანება, უნდა შეიცავდეს მეტად გამწვანებულ ადგილებს. ასევე გასათვალისწინებელია მისასვლელი გზისა და კანალიზაციის საკითხები.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.02.20.253, 81.02.20.236, 81.02.20.005), საცხოვრებელი ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 17, წინააღმდეგი: 1.

2. გიორგი მჭედლიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. წერეთლის №39, ა. წერეთლის გამზირის №№39–41–35–37, ვ. ბაგრატიონის ქ. №№52-54-56, სოხუმის ქ. №6, სოხუმის ქ. №№4-6ა, ევდოშვილის ქ. №25, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.13.06.015.004; 01.13.06.015.011; 01.13.06.015.003; 01.13.06.015.009; 01.13.06.015.008; 01.13.06.015.001; 01.13.06.015.010; 01.13.06.015.012, 01.13.06.015.002, 01.13.06.015.005), მრავალფუნქციური - საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ.

განმცხადებელი – გიორგი მჭედლიშვილი. **AR1256726.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია. წარმოსადგენია მესაკუთრეების თანხმობები, დაზუსტდეს პარკინგი.
- მისაღებია პარკინგის გაზრდის შემთხვევაში.
- არ არის მისაღები. ვთვლი, რომ მთლიანად უბნისადმი და პროექტირებისადმია ჩამოსაყალიბებელი პოზიცია, რაც სამსახურის პრეროგატივას წარმოადგენს.
- მისაღებია. დადებითია, რომ წინასწარ კეთდება გრგ-ს დამუშავება, დავალება უნდა გაიცეს რეკომენდაციით: კოეფიციენტებზე და ავტოსადგომებზე.
- მისაღებია.
- მისაღებია.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა მოსარჩელე ააიპ „უსაფრთხო სივრცის“ სარჩელთან დაკავშირებით (საქმე №3/5017–14), ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის უფლებამოსილების ქ.თბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების სათანადო თანამშრომელთათვის უფლებამოსილების მინიჭებაზე. (**AR 1161043**).

განხილვის შედეგი: მომხრე: 16.

კომისიის თავმჯდომარე **დავით ნარმანია**

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი **ფოთარ ნემსაძე**